შ.პ.ს “ლ ი ლ ე ო”

LTD “L I L E O”

/№129(C)/ 14. 08. 2015 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №44, საკადასტრო კოდით №01.10.10.019.003 შპს “არაგონი”-ის კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საწარმო დანიშნულების ტიპის შენობის კონსტრუქციული ელემენტების კვლევა მდგრადობისა და საიმედოობის დადგენის მიზნით



თბილისი 2015 წელი

შინაარსი

ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №44-ში შპს “არაგონი”-ის საკუთრებაში არსებულ საწარმო ტიპის შენობის მზიდუნარიან ელემენტებზე დაგვევალა ჩაგვეტარებინა საექსპერტო გამოკვლევა მდგრადობისა და საიმედოობის დადგენის თვალსაზრისით. კვლევის მიზანია შევისწავლოთ არსებული შენობის სრული კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობა და განვსაზღვროთ აღნიშნულ შენობის საანგარიშო სქემაზე დაშენების შესაძლებლობა სამშენებო ნორმატივების და წესების მიხედვით.

ფუძე-საძირკვლები

საძირკველის გეგმარება ჭიქისებრი ფორმისაა, რაც ნიშნავს რომ განხორციელებულია მძიმე ბეტონის კვადრატული და მაღალი კვეთის ცალკეული ფუნდამენტი, რომელიც ჩაღმავებულია ძირითად გრუნტამე და ამოსულია მიწის ზედაპირიდან 2.00 მ-მდე.

მზიდი კონსტრუქციები (კოლონები- რიგელები)

კოლონებად გამოყენებულია ანაკრები რკინა-ბეტონის ორ მხრიანი სვეტები, ხოლო რიგელები ცაკვეთილიგვერდებით, რომლებიჩ სახსრულად არის ჩამოდებული სვეტების განივ მხრებზე.

გადახურვები

სართულშუა გადახურვები და ძირითადი გადახურვაც განხორციელებულია ანაკრები ეგრეთ წოდებული პეკაჭებით, რომლის ჩამოდების კუთხე შეადგენს 8-10 სმ-ს. (იხ. სურათები)









შესწავლის საფუძველზე აღნიშნული შენობა სტატიკურად ოთხ ჯერ ურკვევი საანგარიშო სქემისაა, მალებს შორის მანძილებითა და კვეთებიდან გამომდინარე. მზიდუნარიან ელემენტებზე კონსტრუქციული თვალსაზრისით არ აღინიშნება რღვევის პირობები და დამაზიანებელი წარმოშობის ბზარები. შემავსებლებად გამოყენებულია ქართული თეთრი აგური, ერომელიც გამაოყენებული ასევე ლიფტის უჯრედში მზიდ კედლებად. გარე ჩამაოსაკიდებელი პანელები შენობას გააჩნია სამივე სართულზე და ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ არ აღენიშნება არავითარი სახის დეფორმაციები. შენობის ერთიანი კონსტრუქციული სქემა სავსებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რის საფუძველზეც მზიდი ელემენტების მდგომარეობის მიხედვით შესაძლებლად მიმგვაჩნია მასზე ორი სართულის დაშენება, რომელიც შესაძლოა კონსტრუქციული გეგმარების და გაანგარიშებების მიხედვით განხორციელდეს მაქსიმალური ოპტიმალური მეთოდის გამოყენებით ლითონ კონსტრუქციებში.

საანგარიშო სქემის მიხედვით სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში გათვალისწინებულ უნდა იქნას შენობაზე სვეტებისა და საყდენი ელემენტების დაკავშირება ხისტი ჩამაგრების მეთოდით, ვინაიდან ანაკრებ კონსტრუქციებზე ლითონი კონსტრუქციების მონტაჟი ხორციელდება მხოლოდ ჩაანკარების პრინციპით. ყოველივე ზემოთ ხსენებული

მდგომარეობიდან და კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა სრულად აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმატივებსა და წესებს, რის საფუძველზეც მიგვაჩნია ვრაგისიანად და შესაძლებლად რომ განხორციელდეს როგორც სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე შესაძლოა მასზე 2 სართულის დაშენება.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ვასო გოძიაშვილის ქუჩა №44-ში არსებული საწარმო ტიპის შენობის მზიდი დანიშნულების ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა, სავსებით დამაკმაყოფილებელია და ვარგისიანი მდგრადობისა და საიმედოობის პირობებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე შენობის რეკონსტრუქცია-დაშენება შესაძლებელად მიგვაჩნია გადაწყვეტილ იქნას კონსტრუქციული გეგმარების მიხედვით და აღნიშნული სამუშაოებით არ მოხდება უარყობითი პირობების წარმოქმნა მზიდი ელემენტების მიმართ, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვის შემთხვევაში.

დირექტორი: **ა. ყურაშვილი**

კონსტრუქტორ-ექსპერტი: